



## გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება № 118

2022 წლის 10 ივნისი  
ქალაქი გორი

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს (ს/ნ 418469516) 2021 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს (ს/ნ 418469516) 2021 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს (ს/ნ 418469516) 2021 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე



## ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო“

(2021 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში)

2021 წლის დასაწყისში, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად შემუშავდა ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ 2021 წლის სამოქმედო გეგმა: განისაზღვრა განსახორციელებელი საქმიანობები, ინდიკატორები, არსებული და მისაღწევი შედეგები, განხორციელების რისკები, სამუშაოს შესრულების ვადები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული 2021 წლის საშტატო განრიგის საფუძველზე, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები.

### ფინანსური საქმიანობა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს 2021 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული სუბსიდია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2021 წლის ასიგნება 295000,00 ლარის ოდენობით. 2021 წლის იანვარში გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმდა და დირექტორის მიერ დამტკიცდა 2021 წლის საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში. საშტატო განრიგი განისაზღვრა 13 საშტატო ერთეულით, თანამდებობრივი სარგო - 134040.0 ლარით. ასევე შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 18 ერთეულით და თანამდებობრივი სარგო 124080.0 ლარი.

2021 წლის დეკემბერში გაიცა პრემია თანამდებობრივი სარგოს მუხლში 5341.0 ლარი და შტატგარეშე მომუშავეთა მუხლში 3328.50 ლარი.

2021 წლის გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2021 წელს მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურების მუხლში (საშტატო განრიგის მიხედვით) დაიხარჯა - 133970 ლარი; პრემია 5341 ლარი.
2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში პრემიის ჩათვლით დაიხარჯა - 126724,5 ლარი;
3. მივლინების მუხლში ქვეყნის შიგნით - 150,0 ლარი;
4. მივლინების მუხლში ქვეყნის გარეთ - 0 ლარი;
5. ოფისის ხარჯის მუხლში - 9399,95 ლარი;
6. ტრანსპორტის დაქირავების მუხლში - 309,0 ლარი;
7. სხვა დანარჩენი საქ. და მომსახ. მუხლში - 2886,0 ლარი;
8. წარმომადგენლობით მუხლში - 0 ლარი.

რაც შეეხება საკუთარ შემოსულობებს, ევროკომისიის ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის: „დიახ, ახალგაზრდებს შეუძლიათ“ განსახორციელებლად, სააგენტოს სასარგებლოდ მაისის თვეში ჩაირიცხა მოპოვებული გრანტის პირველი ტრანში 2499.25 ევროს (10 115.21 ლარი) ოდენობით.

საკუთარი სახსრების წყაროდან დაიხარჯა - 12676,11 ლარი.

2021 წლის ბიუჯეტიდან დაიფარა კომუნალური გადასახადები და შესყიდულ იქნა საჭირო საოფისე ნივთები (საკანცელარიო ნივთები, საბეჭდი ქაღალდი, CD დისკები და სხვა ანალოგიური მასალები).

2021 წლის ბიუჯეტი მაქსიმალურად პასუხობდა მოთხოვნილებებს. თანხების ხარჯვა ხორციელდებოდა წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

## შესყიდვები

2021 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ შესყიდვების წლიურ გეგმა იყო 6910 ლარი. შემდგომ პერიოდში განხორციელდა ცვლილებები, რის შემდგომაც 2021 წლის მიმდინარე მაისის პერიოდისათვის დაზუსტებული შესყიდვების წლიური გეგმა შეადგენს - 16097 ლარს. მიმდინარე ცვლილებები დაკავშირებული იყო აუცილებელ შესყიდვებთან, რომელიც არ იყო გათვალისწინებული 2021 წლის დამტკიცებული გეგმით.

2021 წლის პერიოდში არ განხორციელებულა კონსოლიდირებული შესყიდვა. ასევე არ განხორციელდა არც ერთი ელექტრონული ტენდერი.

რაც შეეხება დანარჩენ შესყიდვებს, ისინი განხორციელდა შესყიდვის კანონით გათვალისწინებული გამარტივებული წესით, რადგან შესყიდვების კანონის მიხედვით შესყიდვების მთლიანი წლიური CPV\_ოდენობა არ აღემატებოდა 5000 ლარს (კანონით დადგენილ ზღვარს).

2021 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელებული შესყიდვების (დადებული ხელშეკრულებები) რაოდენობა არის 20, ჯამში 13 321,98 (ცამეტი ათას სამასოცდაერთი ლარი 98 თეთრი) ლარის ღირებულების.

## საქმისწარმოება

2021 წელს დაიწყო დოკუმენტაციის ახალი რეესტრის წარმოება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოში შემოსულია 270 (ორას სამოცდაათი) წერილი, რომელიც გატარდა და გადაეცა შესაბამის განყოფილებას/თანამშრომელს შემდგომი რეაგირებისთვის, სააგენტოდან გასულია 201 (ორას ერთი) წერილი და გამოცემულია 69 (სამოცდაცხრა) ბრძანება. თითოეული მათგანი გატარდა სათანადო წესით და გადაეცა შესაბამის თანამშრომელს შემდგომი რეაგირებისთვის. სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისათვის ხდებოდა წერილების დროული მიწოდება და რეესტრი, ასევე მათი წერილების აღრიცხვა და შესრულების ვადების მონიტორინგი.

უნდა აღინიშნოს, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის მიერ სააგენტოსთვის მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე, გამოსწორდა

საქმისწარმოების პროცესის გარკვეული ნაკლოვანებები: დაკორექტიდა ბრძანების შაბლონები, შეიქმნა გასული და შემოსული წერილების ელექტრონული ჟურნალი, სადაც დეტალურად არის მითითებული თითოეული წერილის შესახებ ინფორმაცია: წერილის შემოსვლის/გასვლის თარიღი, შინაარსი, შესრულებაზე პასუხისმგებელი განყოფილება/თანამშრომელი, წერილის შერულების შესახებ კომენტარი და სხვა საჭირო ინფორმაცია.

ასევე უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა სამივლინებო დოკუმენტაციის მოწესრიგება და შემდგომში ბუღალტერისთვის გადაცემა..

ამ დროის მანძილზე ხორციელდებოდა თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა, რათა ხელი არ შეშლოდა ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას.

მოწესრიგდა და დაარქივდა წინა წლების დოკუმენტაცია.

პერიოდულად ხორციელდებოდა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნის შესაბამისი საჯარო ინფორმაციის მომზადება და გაცემა.

მიმდინარე სამუშაოების შესრულების მონიტორინგის მიზნით, სააგენტოს თანამშრომლების მიერ პერიოდულად ხორციელდებოდა გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომზადება - ანგარიშის წარდგენა.

## აქტივობები

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო 2021 წელს მოქმედებდა სააგენტოს წესდებით გაწერილი მიზნის და ამოცანების შესაბამისად, კერძოდ:

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო, როგორც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის“ ავტორი და კოორდინატორი, აქტიურად არის ჩართულნი აღნიშნული პროექტის განხორციელების პროცესში. 2021 წლის პირველ კვარტალში, მომზადდა პროექტის მესამე შუალედური თხრობითი და ფინანსური ანგარიში და წარედგინა ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ძირითადი საქმიანობებიდან, ამ დროისთვის, დასრულებულია შემდეგი: ლომჭაბუკის მონუმენტისა და სკვერის რეაბილიტაცია; ლომჭაბუკის სკვერში არსებული შენობის (საგამოფენო სივრცე) რეაბილიტაცია; ავტო-პარკინგის მოწყობა; გორისციხის გარშემო საფეხმავლო ბილიკის მოწყობა; რუსთაველის მემორიალისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია; ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე

სახელოსნოების (ტრადიციული რეწვისა და კულინარიის სივრცეები) მოწყობა; სუვენირების სარეალიზაციო სივრცისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოების მშენებლობა გორისციხის მიმდებარედ; ახალი შენობა „ლომჭაბუკის“ სკვერის მიმდებარედ, რომელიც მოიცავს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს, საკონფერენციო/სამუშაო სივრცეს, ბარგის შესანახ საკნებსა და საზოგადოებრივ საპირფარეშოებს; ველო-ბილიკებისა და ველო-პარკინგის მოწყობა; გორისციხესთან მისასვლელი ძირითადი ბილიკის რეაბილიტაცია.

ამასთანავე, პროექტი ითვალისწინებდა, 10 თვის განმავლობაში, უნარებისა და კვალიფიკაციის გაძლიერება/ამაღლების ღონისძიებებს, როგორებიცაა: ტრენინგები, ბიზნეს-კონსულტირების სერვისი, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლების გადამზადება და მათი ხელფასების (10 თვის) ანაზღაურება, ასევე, დაგეგმილი იყო მედია-ტური, ახლადშექმნილი/რეაბილიტირებული სივრცეების გახსნის, ველო-მართონისა და პროექტის დახურვის ცერემონიები. ჩამოთვლილი საქმიანობების განხორციელება შეუძლებელი გახდა კოვიდ 19-ის პანდემიამ, რის გამოც, 2021 წლის დასაწყისში, გაფორმდა ახალი შეთანხმება (ხელშეკრულების დამატება) ევროკავშირთან, რომლის საფუძველზეც შეიცვალა პროექტის პირობები. კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობები ამოღებულ იქნა პროექტიდან და მათ ნაცვლად დაემატა გორისციხესთან მისასვლელი ძირითადი ბილიკის მოწყობა/განახლება და მტკვარზე არსებული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, „ძველი ხიდის“ რესტავრაცია. ამ დროისთვის, დასრულებულია პროექტით გათვალისწინებული ყველა ძირითადი საქმიანობის განხორციელება, გარდა „ძველი ხიდის“ რესტავრაციისა, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებით - ხიდის სარესტავრაციო პროექტის შემუშავების დროს, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ჩატარდა ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ ხიდის რესტავრაცია შეუძლებელია გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების გარეშე, რის ხარჯსაც არ ითვალისწინებს საგრანტო პროექტი.

გარდა ამისა, 2021 წლის დასაწყისიდან, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ, აუდიტორული კომპანიის PriceWaterhouseCoopers წარმომადგენლების მეშვეობით, მოხდა პროექტის „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის“ ფარგლებში გაწეული ხარჯების აუდიტორული შემოწმება. აღნიშნულ პერიოდში, სტრატეგიული განვითარების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა აუდიტორებთან და უზუნველყოფდა მათთვის ყველა საჭირო ფინანსური დოკუმენტაციის მიწოდებას და ინფორმაციის გაზიარებას.

- დაიწყო 'მერები ეკონომიკური ზრდისთვის' (M4EG) ახალი ფაზა, რომლის განხორციელებასაც, 2021-დან 2024 წლამდე პერიოდში, უზრუნველყოფს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP - United Nations Development Programme). ევროკავშირის მხარდაჭერით, აღნიშნული პროგრამა გააგრძელებს საქართველოს და აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთი ქვეყნის თვითმმართველობებში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერას. LED (ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების) ოფიცერმა, ზაურ როსტომაშვილმა, განაახლა თანამშრომლობა აღნიშნულ ორგანიზაციასთან, რაც საშუალებას იძლევა, სამომავლოდ, გორის მუნიციპალიტეტი ჩაერთოს სხვადასხვა საინტერესო პროგრამებსა და პროექტებში.

- 2021 წლის თებერვლის თვეში, ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში, გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმებზე დაფუძნებული საპილოტე პროექტების განხორციელება ევროკავშირის სამიზნე რეგიონების მიზნობრივი მხარდაჭერის შესაბამისად. გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით, მოამზადა და წარადგინა პროექტის კონცეფცია (concept note) აღნიშნული პროგრამის მესამე ლოტისთვის, რომელიც მხარს უჭერს ინიციატივის პირველი ფაზის ფარგლებში შექმნილი ადგილობრივი ეკონომიკური გეგმების შედეგებისა და გაკვეთილების გავრცელებას / არსებული პროექტების მონიტორინგს და მდგრადობის გაზრდას. სააგენტოს მიერ წარდგენილი წინასწარი განაცხადი გადავიდა საგრანტო კონკურსის შემდეგ ეტაპზე და აგვისტოს თვეში, სააგენტომ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით, შეიმუშავა და წარადგინა სრული საგრანტო განაცხადი, რომლის მიხედვით, პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა და ახალგაზრდების დასაქმების გაუმჯობესება ეკონომიკური ზრდისთვის; მეწარმეობის, ახალგაზრდების/სტუდენტებისა და სტარტ-აპების შესაძლებლობების/უნარების გაძლიერების და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით. სამწუხაროდ, განაცხადზე უარი იქნა მიღებული, თუმცა სააგენტო მომავალშიც ეცდება აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაგრძელებასა და შესაბამისი დაფინანსების მოპოვებას.

- 2021 წლის 24 ნოემბერს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ოფიცერი იმყოფებოდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი ინიციატივის, მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG) ფარგლებში, დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაზე. სამუშაო შეხვედრისას განხილული იყო პროექტ M4EG წევრი მუნიციპალიტეტებისთვის პორტპოლიოს შემუშავების სპეციფიკა და სტანდარტები. შეხვედრას ესწრებოდნენ კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის

მუნიციპალიტეტების მერები და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლები, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოადგილე. აღნიშნული შეხვედრის შემდეგ, სააგენტოს მიერ შემუშავდა და გაიგზავნა ხელმომწერი მუნიციპალიტეტების პროფილი, რომლის მიზანი იყო ყველაზე განახლებული ინფორმაციის წარმოდგენა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან მერებ ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG) ქსელის წევრების შესახებ. ასევე, შემუშავდა და გაიგზავნა ინტერესის გამოხატვის სააპლიკაციო ფორმა მუნიციპალიტეტის ტრანსფორმაციის პორტფელის შემუშავების კონკურსისთვის.

- 2021 წლის მაისი-ივნისის თვეში ევროკავშირის ახალი პროექტის EU4Culture ფარგლებში, საქართველოს და აღმოსავლეთ პარტნიორობის კიდევ ოთხი ქვეყნის — აზერბაიჯანის, მოლდოვის, სომხეთის და უკრაინის ქალაქებისთვის (არა—დედაქალაქებისთვის) გამოცხადდა კონკურსი, რომლის მიზანი იყო ქალაქების მხარდაჭერა კულტურის განვითარების იმ სტრატეგიების მომზადებაში, რომლებიც ევროპული კულტურული დედაქალაქების მიდგომებს შეესაბამება. გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, გორელ ფოტოგრაფთა კლუბთან თანამშრომლობით, მოამზადა და გორის მუნიციპალიტეტის სახელით წარადგინა შესაბამისი განაცხადი.

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ პოლონური ორგანიზაციისგან (ასოციაცია Czajnia-პოლონეთი, ტომაშუვ ლუბელსკი) მიიღო პარტნიორობის შეთავაზება პროექტში, რომელსაც პოლონური მხარე წარადგენდა პოლონეთის დახმარების Polish Aid-პროგრამაში დაფინანსების მოსაპოვებლად. დახმარების პროგრამის რამდენიმე მიმართულებიდან შეირჩა მეწარმეობა, განსაკუთრებით მდგრადი ტურიზმის სფეროში. პროექტის იდეა გულისხმობდა გორის მუნიციპალიტეტში, ტურიზმის სფეროში მოღვაწე მეწარმეების შესაძლებლობების და კომპეტენციების გაძლიერებას სწავლების, ტრენინგების, სასწავლო ვიზიტების, გამოცდილების გაზიარების და სხვ. გზით.

სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადდა და პოლონურ მხარეს წარედგინა შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები და საჭირო ინფორმაცია გორის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სფეროში არსებული სიტუაციის, პრობლემების და გამოწვევების შესახებ.

მიმდინარე პერიოდში, პოლონურმა მხარემ ვერ მოასწრო განაცხადის წარდგენა კონკურსში, თუმცა მათ დაადასტურეს სურვილი და ინტერესი ზემოთაღნიშნული პროექტი წარადგინონ პროგრამის გამოცხადების მომავალ ვადაზე.



- აგვისტოს თვეში, გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, შპს “ნეიროგანვითარების ცენტრთან” პარტნიორობით შეიმუშავა და წარადგინა საპროექტო განაცხადი საქართველოში იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში: ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა–(GGP).

ნეიროგანვითარების ცენტრი არის შშმ ბავშვებთან დაკავშირებული როგორც ფიზიკური რეაბილიტაციის, ისე მენტალური განვითარების 4 სახელმწიფო პროგრამის ყველაზე მსხვილი პროვაიდერი საქართველოში, რომელმაც სულ ახლახანს დააარსა ფილიალი გორში, სადაც შშმ ბავშვებს საშუალება ექნებათ მიიღონ სრულყოფილი სარეაბილიტაციო სერვისები ადგილობრივად, ვინაიდან მათ დიდ უმრავლესობას არ აქვს არც ფიზიკური და არც მატერიალური შესაძლებლობა რეგულარულად იარონ ამ სერვისების მისაღებად თბილისში. ამასთან, გორში ამ სერვისების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ოკუპირებულ ტერიტორიასთან სიახლოვის გამო.

გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ საგრანტო კონკურსში წარდგენილი საპროექტო განაცხადი გულისხმობდა შპს ნეიროგანვითარების ცენტრის გორის ფილიალისთვის სარეაბილიტაციო აღჭურვილობის და შესაბამისი ტექნიკის შეძენას.

- სააგენტომ შეიმუშავა საპროექტო განაცხადი სახელწოდებით: „დიახ, ახალგაზრდებს შეუძლიათ“ და იტალიურ პარტნიორ ორგანიზაცია Atelier Europeo-სთან ერთად წარადგინა ევროკომისიის ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამის საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის. კომისიამ დადებითად შეაფასა განაცხადი და დააფინანსა პროექტი. 2021 დასაწყისიდან სააგენტომ დაიწყო მზადება და რიგი საორგანიზაციო საკითხების მოგვარება 2 იტალიელი მოხალისის მისაღებად, რომელთაც სააგენტო უმასპინძლებს 11 თვის ვადით. მიმდინრე წლის 22 მაისს, მოხალისეები ჩამოვიდნენ საქართველოში და 11 თვის განმავლობაში იმუშავებენ გორის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის კუთხით. მათი საქმიანობის მიზანია გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა. პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის სააგენტომ გამოყო ორი თანამშრომელი, როგორც მოხალისეების პარტნიორები, რომლებიც მუშაობენ მოხალისეებთან და ეხმარებიან მათ ყოველდღიური დავალებების შესრულებაში. გარდა ამისა, სააგენტოს დირექტორის მოადგილე კოორდინაციას უწევს პროექტის მთელ პროცესს და მხარს უჭერს მოხალისეების და მათი პარტნიორი თანამშრომლების მიერ ორგანიზებული აქტივობების განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კორონავირუსის Covid19-ის გავრცელების შედეგად ქვეყანაში არსებულმა რთულმა ეპიდ-ვითარებამ და აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულმა შეზღუდვებმა/რეგულაციებმა, მნიშვნელოვანი შეფერხებები გამოიწვია პროექტის განხორციელების პროცესში, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა გარკვეული დაგეგმილი აქტივობების განხორციელება: პროექტის საწყის ეტაპზე, გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეკომენდაციით, შეირჩა გორის მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლა (ქ. გორი N 12 საჯარო სკოლა, სოფელ ვარიანის საჯარო სკოლა, სოფელ ზემო ნიქოზის საჯარო სკოლა), სადაც, სკოლის მოსწავლეების საჭიროებებისა და ინტერესების კვლევის მიზნით, მოხალისეებმა გამართეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრები. მსგავსი ტიპის შეხვედრა გაიმართა სოფელ მეჯვრისხევში მდებარე საჯარო ცენტრშიც. ასევე, შიდა ქართლის სამოქალაქო ფორუმის მოხალისეებთან თანამშრომლობით, გაიმართა შეხვედრა დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ ახალგაზრდებთანაც. შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის/უკუკავშირის საფუძველზე, მოხალისეებმა შეიმუშავეს შესაბამისი ტრენინგ-მოდულები სკოლის მოსწავლეებისთვის და 2021 წლის ოქტომბრის თვიდან სააგენტოს იტალიელმა მოხალისემ, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, დაიწყო აღნიშნული ტრენინგების ჩატარება გორის მუნიციპალიტეტის ორ საჯარო სკოლაში: ქალაქ გორის მე-12 საჯარო სკოლასა და სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში. სატრენინგო მოდულები შემუშავებულ იქნა შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით:

- ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო „კომპასი“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით);
- ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო, „კომპასიტო“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის);
- ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების განათლების შესახებ;
- იუნესკოს უწყებათაშორისი სამშვიდობო განათლების პროგრამა (სახელმძღვანელო ფასილიტატორებისთვის);
- SALTO-YOUTH - ის ქსელის ვებ-გვერდზე განთავსებული, სწავლების, ახალგაზრდული საქმიანობებისა და ტრენინგების სახელმძღვანელოები.

ასევე, პროექტის ფარგლებში, (ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო“ გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს (11 წლის ასაკიდან) სთავაზობს ინგლისური ენის შემსწავლელ უფასო კურსს. კურსს უძღვება სააგენტოს იტალიელი მოხალისე, ლაურა პისტარინი, რომელიც ფლობს კემბრიჯის სერთიფიკატს ინგლისური ენის უმაღლეს დონეში (Advanced English) და აქვს ინგლისური ენის სწავლების

გამოცდილება იტალიის კოლეჯის სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის განმავლობაში გამოყენებულია ენის სწავლების არაფორმალური მეთოდები: ინტერაქტიული აქტივობები, ბეჭდური მასალები, აუდიო-ვიზუალური მასალები და ასე შემდეგ...

პროექტის ფარგლებში, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან. მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ ინიციატივით და უნივერსიტეტის ორგანიზებით, ონლაინ რეჟიმში გაიმართა შეხვედრა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრისას ჩვენი სააგენტოს იტალიელმა მოხალისემ, ლაურა პისტარინიმ, სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე პროექტის შესახებ, ასევე ისაუბრა მოხალისეობრივი სამუშაოს, „ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC)“, ERASMUS+ და იმ სხვა შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც სხვადასხვა ევროპული პროგრამები სთავაზობს ახალგაზრდებს. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში.

გარდა ამისა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, სააგენტოს იტალიელი მოხალისის, ლინა მიკოლუჩის მიერ, უნივერსიტეტის შენობაში, კვირაში ორჯერ ტარდება საბაზისო იტალიური ენის შემსწავლელი უფასო კურსი გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო, SALTO აღმოსავლეთ ევროპის და კავკასიის რესურსცენტრის რეკომენდაციით, მიწვეული იყო ავსტრიის, გერმანიისა და ფინეთის ეროვნული სააგენტოების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე: “Activating citizens – municipalities making use of the European Solidarity Corps”. სემინარი ჩატარდა ონლაინ, 2-3 ნოემბერს და მისი მთავარი მიზანი იყო იმის ჩვენება, თუ როგორ შეუძლიათ ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამით სარგებელის მიღება არა მხოლოდ ახალგაზრდებს, არამედ მუნიციპალიტეტებსაც, ასევე, შეხვედრა მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტების მოტივაციას, გამოიყენონ ევროპული სოლიდარობის კორპუსის პროგრამა, როგორც სოციალური ერთობისა და სოლიდარობის ინსტრუმენტი.

შეხვედრის მიმდინარეობისას, სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი იყო საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ მუნიციპალიტეტებს და მათ ახალგაზრდებს, ისარგებლონ ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამით. მათ შორის, ჩვენმა სააგენტომ წარადგინა პრეზენტაცია სააგენტოს საქმიანობების, მათ შორის, ERASMUS+-ის და ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების აქტივობების შესახებ.

- სააგენტოს მთავარი სპეციალისტი, ნინო გოლოშვილი, რომელიც განსაზღვრულია სამოქალაქო ბიუჯეტის მთავარ კოორდინატორად გორის მუნიციპალიტეტში, უძღვებოდა სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის საინფორმაციო კამპანიას, გაიმართა შეხვედრები მოსახლეობასთან უშუალოდ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების ჩართულობით, დამუშავდა მოსახლეობისგან შემოსული ყველა საპროექტო ინიციატივა და დოკუმენტაცია სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტთან მიმართებაში. პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის მხრიდან სულ შემოვიდა 58 საპროექტო ინიციატივა. სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭომ მიმდინარე წლის 13 სექტემბერს განიხილა შემოსული საპროექტო ინიციატივები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ✓ სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განხორციელოს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივები)
- ✓ ტექნიკური ასპექტები (ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია საპროექტო ინიციატივის განხორციელება)
- ✓ ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების სავარაუდო ღირებულების შეფასება და შესაძლებლობების განსაზღვრა)
- ✓ პროექტის განხორციელების ვადები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განხორციელების სავარაუდო ვადების თავსებადობა შესაძლებლობების ფარგლებში)
- ✓ ემსახურება თუ არა პროექტის განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესს (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების აქტუალობა ადმინისტრაციულ ერთეულში მაცხოვრებელთათვის რამდენად აქტუალურია).

შემოწმებული საპროექტო ინიციატივები გადაეცა ადმინისტრაციული ერთეულების(ზონების) წარმომადგენლებს "წარმომადგენლობით საბჭოებზე" საბოლოოდ განხილვის მიზნით. მოსახლეობამ თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ შეხვედრებზე კონსენსუსით აირჩია 45 საპროექტო ინიციატივა, რომელთა განხორციელებაც 2022 წელს იგეგმება.

- 2021 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ინიციატივით შექმნილი, „მუნიციპალიტეტების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მდგომარეობის შესწავლის შესახებ“ თემატური მოკვლევის ჯგუფის მეორე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. აღნიშნულ შეხვედრაზე თემატური მოკვლევის ჯგუფმა ზეპირი მოსმენის ფორმატში სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს მოუსმინა, რომლებმაც მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე საკუთარ გამოცდილებაზე, არსებულ პრაქტიკას და მექანიზმებზე, ასევე ახალ მიგნებებსა და ინიციატივებზე ისაუბრეს.

თემატური მოკვლევის ჯგუფის სხდომაზე ბათუმის, ფოთის და ქედის მუნიციპალიტეტის მერებთან ერთად, გორის მუნიციპალიტეტიდან მიწვეულები იყვნენ გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე და სააგენტოს სპეციალისტი, ნინო გოლოშვილი, როგორც სამოქალაქო ბიუჯეტის მთავარი კოორდინატორი გორის მუნიციპალიტეტში, რომელმაც ისაუბრა გორის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა აქტიურად ჩართულობის მიმართულებებსა და მექანიზმებზე სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის კუთხით.

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო ჩართული იყო გორის ახალგაზრდულ ფორუმში, რომელიც გახორციელდა ა(ა)იპ ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტოკოსთა გაერთიანების ორგანიზებით და გორის მუნიციპალიტეტის მერიის, პროგრამა “FID”-ის და „ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრის“ ფინანსური მხარდაჭერით, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სივრცეში, 21-22 დეკემბერს. აღნიშნულ ფორუმზე, მუნიციპალიტეტში მომუშავე სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად, გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ წარმოადგინა პრეზენტაცია სააგენტოს ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული საქმიანობების და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ასევე მიიღო მონაწილეობა სამოქალაქო ორგანიზაციების გამოფენაში, სადაც წარმოდგენილი იყო სააგენტოს საქმიანობის, ახალგაზრდული კუთხით განხორციელებული აქტივობების ამსახველი სხვადასხვა ბეჭდური და ვიზუალური მასალა.

- სტრატეგიული განვითარების სააგენტო ასევე აქტიურად იყო ჩართული პროექტში, რომელიც ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტებში ენერგოეფექტურობის ამალღების ღონისძიებებს; მუნიციპალური ენერჯის წარმოებისა და მომარაგების ხელშეწყობა განახლებადი ენერჯის წყაროების (RES) საშუალებით; ინოვაციური მდგრადი ენერჯის პროექტების შექმნა და მათი დაფინანსების ხელშეწყობა. აღნიშნულ პროექტს ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საერთაშორისო ქალაქების პლატფორმა Connective Cities - ის მეშვეობით. მიმდინარე პროექტის ფარგლებში სააგენტოსა და მერიის თანამშრომლი აქტიურად იყვნენ ჩართულები სამუშაო შეხვედრებში; შემუშავებულ იქნა პრეზენტაცია ენერგო ეფექტურობის მიზნით თუ რა სახის სარგებელს მიიღებდა მუნიციპალიტეტი. 17-21 მაისს, სააგენტოს თანამშრომელმა (ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერმა) ზაურ როსტომაშვილმა მონაწილეობა მიიღო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქალაქების წარმომადგენელთა შეხვედრაში, რომლის მიზანიც იყო მდგრადი ურბანული ენერგეტიკის განვითარების მხარდაჭერა. შეხვედრაზე განხილული იყო სხვადასხვა ქალაქების მაგალითები და საპროექტო წინადადებები, მათ შორის გორის მუნიციპალიტეტის საპროექტო იდეაც. GIZ მიერ განხორციელებულ ტრენინგ სემინარებში და

სამუშაო შეხვედრებში წარმატებით ჩართულობისათვის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს თანამშრომელ ზაურ როსტომაშვილს გადაეცა შესაბამისი სერთიფიკატი.

- სტრატეგიული განვითარების სააგენტო თანამშრომლობდა სუპერმარკეტების ქსელ „ნიკორა“-ს ადამიანური რესურსების განყოფილებასთან და უწევდა დახმარებას მათ კომპანიაში არსებული ვაკანსიებისთვის კადრების მოძიებაში. სააგენტოს ორგანიზებით და ძალისხმევით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაში იმართებოდა დასაქმების ფორუმები, სადაც კომპანიის მიერ გამოცხადებული ვაკანსიებით დაინტერესებულ პირებს ქონდათ შესაძლებლობა, გაეარათ გასაუბრება შემდგომში დასაქმების პერსპექტივით.

- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის (LEDP) ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტში ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცრად განსაზღვრულია სააგენტოს თანამშრომელი ზაურ როსტომაშვილი, რომელიც პერიოდულად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: თბილისის ბიზნეს აქსელერატორი „სპარკი“, „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა“, „USAID Zrda Activity in Georgia“ გორის ოფისის წარმომადგენლობა, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს ადგილობრივ წარმომადგენლობა, პროექტის მართვის ინსტიტუტის (PMI) საქართველოს წარმომადგენლობა და სხვა. აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ხდება მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ახალი შესაძლებლობების მოძიება, მათი უნარების გაძლიერების ხელშემწყობი ღონისძიებების (ტრენინგების, საინფორმაციო შეხვედრების და ა.შ) ფასილიტაცია, კონსულტაციების გაწევა მიმდინარე საგრანტო პროგრამებთან დაკავშირებით და ა.შ. 2021 წლის პერიოდში ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერი გასცემდა რეკომენდაციებს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის. რეკომენდაციის ძირითად საკითხებს წარმოადგენდა სახელმწიფოსა და USAID-ს მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროგრამების დეტალურად ახსნა და მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის. ასევე მეწარმეების ინტერესის საგანს წარმოადგენდა აგრო დაზღვა, მისი სტანდარტებისა და პირობების დეტალები. ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერი ასევე აქტიურად აზიარებდა ბიზნესით დაინტერესებული პირებისათვის გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებსა და პროგრამებს სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ფეისბუქ გვერდის საშუალებით.

- საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის მიზნით, სააგენტოს ფეისბუქ გვერდზე ხდებოდა სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის, საინტერესო სიახლეების, მოქალაქეების და არასამთავრობო სექტორისათვის სასარგებლო ინფორმაციის განთავსება.

- გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან წერილობით მიღებული დავალებების საფუძველზე, სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლების მიერ ხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო ნახაზების მომზადება, საველე აზომვითი ნახაზების მომზადება, შენობა ნაგებობების შიდა და გარე აზომვითი სამუშაოების შესრულება და შესაბამისი ნახაზების, ტექნიკური პასპორტების მომზადება, მიწის ნაკვეთების დაკვალვის სამუშაოების ჩატარება და ა.შ

სულ, 2021 წელს, გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე, შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

- აზომილი და დახაზული - 2763 218, 55 კვ.მ
- მომზადებული სიტუაციური ნახაზი - 13 ცალი
- დაკვალული - 80 წერტილი
- მომზადებული შიდა აზომვითი ნახაზები --1905,38 კვ.მ
- გაჩერების წერტილი კოორდინატებით - 172
- დაგეგმარებული - 45 სოფელი

სააგენტოს გეორგაფიულ და ინფორმაციული უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტის, ლაშა გაგნიძის მიერ, ქ. გორში, ჭალის დასახლებაში, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დამუშავებულია უბნის გენგეგმა, ქალაქის სატრანსპორტო ქსელის სვლა გეზის თემატური რუკები და სოფლის სატრანსპორტო ქსელის სვლა- გეზის თემატური რუკები.

## (2022 წლის იანვრიდან 2022 წლის 13 მაისის მდგომარეობით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში)

2022 წლის დასაწყისში, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად შემუშავდა ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ 2022 წლის სამოქმედო გეგმა: განისაზღვრა განსახორციელებელი საქმიანობები, ინდიკატორები, არსებული და მისაღწევი შედეგები, განხორციელების რისკები, სამუშაოს შესრულების ვადები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული 2022 წლის საშტატო განრიგის საფუძველზე, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები; განახლდა სააგენტოს თანამშრომელთა მონაცემთა ბაზა.

მიმდინარე სამუშაოების შესრულების მონიტორინგის მიზნით, სააგენტოს თანამშრომლების მიერ პერიოდულად ხორციელდება გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომზადება - ანგარიშის წარდგენა.

### ფინანსური საქმიანობა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს 2022 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული სუბსიდია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2022 წლის ასიგნება, 295000 ლარის ოდენობით. 2022 წლის I კვარტლის ასიგნება შეადგენს 73017,00 ლარს. 2022 წლის იანვარში გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმდა და დირექტორის მიერ დამტკიცდა 2022 წლის საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში. საშტატო განრიგი I კვარტალში განისაზღვრა 13 საშტატო ერთეულით, თანამდებობრივი სარგო - 34800,00 ლარით. ასევე შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა 2021 წლის I კვარტალში იყო 17 ერთეული თანამდებობრივი სარგო 29670,00 ლარი.

2022 წლის 13 მაისის ჩათვლით გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2022 წლის 13 მაისის ჩათვლით მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურების მუხლში (საშტატო განრიგის მიხედვით) დაიხარჯა - 47227,00 ლარი;



2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში დაიხარჯა - 37160,00 ლარი;
3. მივლინების მუხლში ქვეყნის შიგნით - 60,0 ლარი;
4. მივლინების მუხლში ქვეყნის გარეთ - 0 ლარი;
5. ოფისის ხარჯის მუხლში - 7159,42 ლარი;
6. ტრანსპორტის დაქირავების მუხლში - 271.2 ლარი;
7. სოციალური უზრუნველყოფა (დეკრეტული) - 0 ლარი;
8. წარმომადგენლობით მუხლში - 0 ლარი.

2022 წლის I კვარტლის ბიუჯეტიდან დაიფარა კომუნალური გადასახადები და შესყიდულ იქნა საჭირო საოფისე ნივთები (საკანცელარიო ნივთები, საბეჭდი ქაღალდი, CD დისკები, კარტრიჯები და სხვა ანალოგიური მასალები).

2022 წლის I კვარტლის ბიუჯეტი მაქსიმალურად პასუხობდა მოთხოვნილებებს. თანხების ხარჯვა ხორციელდებოდა წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

საკუთარი სახსრების წყაროდან დაიხარჯა - 5318,71 ლარი.

ასევე, გრანტის ფარგლებში 2022 წლის I კვარტალში ჩაირიცხა პროექტის „დიახ ახალგაზრდებს შეუძლიათ“ დაფინანსება 1661.55 ევრო - ექვივალენტი ლარში ეროვნული კურსით 5800.14 ლარი. წინა წლის ნაშთი გრანტიდან იყო 2094.0 ლარი, ჯამში სულ პროექტის ფარგლებში თანხამ შეადგინა 7894.14 ლარი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2022 წლის 13 მაისის ჩათვლით საკუთარი სახსრებიდან მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში დაიხარჯა - 1931.5 ლარი;
2. გადახდილ იქნა 3 თვის ქირა - 1900,00 ლარი;
3. ოფისის ხარჯის მუხლში - 1487,21 ლარი;

## შესყიდვები

2022 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ შესყიდვების წლიურ გეგმა იყო 7200 ლარი. შემდგომ პერიოდში განხორციელდა ცვლილებები, რის შემდგომაც 2022 წლის მიმდინარე მაისის პერიოდისათვის დაზუსტებული შესყიდვების წლიური გეგმა შეადგენს - 12979 ლარს. მიმდინარე ცვლილებები დაკავშირებული იყო აუცილებელ შესყიდვებთან, რომელიც არ იყო გათვალისწინებული 2022 წლის დამტკიცებული გეგმით.

2022 წლის მიმდინარე პერიოდში (ივარი - მაისი ) არ განხორციელებულა კონსოლიდირებული შესყიდვა. მიმდინარე პერიოდში ასევე არ განხორციელებულა არც ერთი ელექტრონული ტენდერი.

რაც შეეხება დანარჩენ შესყიდვებს, ისინი განხორციელდა შესყიდვის კანონით გათვალისწინებული გამარტივებული წესით, რადგან შესყიდვების კანონის მიხედვით შესყიდვების მთლიანი წლიური CPV\_ოდენობა არ აღემატებოდა 5000 ლარს.(კანონით დადგენილ ზღვარს).

ხოლო შესყიდვების რაოდენობა მიმდინარე პერიოდში , გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელებული შესყიდვების (დადებული ხელშეკრულებები) რაოდენობა არის 11. ჯამში 10 070,7 (ათი ათას სამოცდაათი ლარი 70 თეთრი) ლარის ღირებულების.

## საქმისწარმოება

2022 წლის იანვრიდან ააიპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოში იწარმოება შემოსული და გასული წერილების რეესტრი. მიმდინარე პერიოდამდე, სააგენტოში შემოსულია 67 (სამოცდაშვიდი) წერილი, გასულია 56 (ორმოცდათექვსმეტი) წერილი და გამოცემულია 23 (ოცდასამი) ბრძანება. თითოეული მათგანი გატარდა სათანადო წესით და გადაეცა შესაბამის თანამშრომელს შემდგომი რეაგირებისთვის. სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისათვის ხდებოდა წერილების დროული მიწოდება და რეესტრი, ასევე მათი წერილების აღრიცხვა და შესრულების ვადების მონიტორინგი.

ასევე, უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა სამივლინებო დოკუმენტაციის მოწესრიგება და შემდგომში ბუღალტერისთვის გადაცემა..

ამ დროის მანძილზე ხორციელდებოდა თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა, რათა ხელი არ შეშლოდათ გამართულ ფუნქციონირებაში.

მოწესრიგდა და დაარქივდა წინა წლების დოკუმენტაცია.

ასევე, ხორციელდება დაწყებულ საქმიანობებზე მონიტორინგი.

პერიოდულად ხორციელდებოდა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნის შესაბამისი საჯარო ინფორმაციის მომზადება და გაცემა.

მიმდინარე სამუშაოების შესრულების მონიტორინგის მიზნით, სააგენტოს თანამშრომლების მიერ პერიოდულად ხორციელდებოდა გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომზადება - ანგარიშის წარდგენა.

## აქტივობები

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო 2022 წელს მოქმედებდა სააგენტოს წესდებით გაწერილი მიზნის და ამოცანების შესაბამისად, კერძოდ:

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო, როგორც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის“ ავტორი და კოორდინატორი, აქტიურად არის ჩართულნი აღნიშნული პროექტის განხორციელების პროცესში. 2022 წლის პირველ კვარტალში, მომზადდა პროექტის მეოთხე შუალედური თხრობითი და ფინანსური ანგარიში და წარედგინა ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ძირითადი საქმიანობებიდან, ამ დროისთვის, დასრულებულია შემდეგი: ლომჭაბუკის მონუმენტისა და სკვერის რეაბილიტაცია; ლომჭაბუკის სკვერში არსებული შენობის (საგამოფენო სივრცე) რეაბილიტაცია; ავტო-პარკინგის მოწყობა; გორისციხის გარშემო საფეხმავლო ბილიკის მოწყობა; რუსთაველის მემორიალისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია; ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე სახელოსნოების (ტრადიციული რეწვისა და კულინარიის სივრცეები) მოწყობა; სუვენირების სარეალიზაციო სივრცისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოების მშენებლობა გორისციხის მიმდებარედ; ახალი შენობა „ლომჭაბუკის“ სკვერის მიმდებარედ, რომელიც მოიცავს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს, საკონფერენციო/სამუშაო სივრცეს, ბარგის შესანახ საკნებსა და საზოგადოებრივ საპირფარეშოებს; ველო-ბილიკებისა და ველო-პარკინგის მოწყობა; გორისციხესთან მისასვლელი ძირითადი ბილიკის რეაბილიტაცია.

2021 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო მტკვარზე არსებული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, „ძველი ხიდის“ რესტავრაცია. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ხიდის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლისა და მისი შემდგომი ექსპლუატაციისთვის რეკომენდაციების გაცემის თხოვნით. ხანგრძლივის კვლების შედეგად, ბიურომ დაადგინა, რომ ხიდი არის წინაავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს აუცილებელ გამაგრებით

სამუშაოებს, რაც არ იყო საგრანტო პროექტის გათვალისწინებული. შესაბამისად, შემუშავდა ახალი სამშენებლო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ხიდის სრულ სარესტავრაციო და გამაგრებით სამუშაოებს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, 2022 წლის დასაწყისში გაფორმდა ახალი შეთანხმება (ხელშეკრულების დამატება) ევროკავშირთან, რომლის საფუძველზეც შეიცვალა პროექტის პირობები. კერძოდ, გაიზარდა პროექტის განხორციელების ვადა, 2022 წლის 31 დეკემბრამდე და ასევე, გაიზარდა გორის მუნიციპალიტეტის ფინანსური თანამონაწილეობა (358836,36 ევრომდე), რათა შესაძლებელი გამხდარიყო „ძველი ხიდის“ რეაბილიტაცია.

- სტრატეგიული განვითარების სააგენტოს თანამშრომელი ზაურ როსტომაშვილი (ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერი) პერიოდულად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, როგორებიცაა თბილისის ბიზნეს ასესლერატორი „სპარკი“, „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა“, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს ადგილობრივ წარმომადგენლობა, საერთაშორისო ორგანიზაცია “GIZ”-თან და ასევე სხვა ორგანიზაციებთან.

ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერი გასცემდა რეკომენდაციებს მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის. ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერმა, რეკომენდაციის სახით დახმარება გაუწია დაინტერესებულ პირებს. რეკომენდაციის ძირითად საკითხებს წარმოადგენდა სახელმწიფოსა და USAID-ს მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროგრამების დეტალურად ახსნა და მიწოდება. ასევე, დიდ ინტერესს ავლენდნენ აგრო დაზღვევის შესახებ, მისი სტანდარტებისა და პირობების დეტალებზე.

სტრატეგიული განვითარების სააგენტო ასევე აქტიურად იყო ჩართული გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტებში ენერგოეფექტურობის ამაღლების ღონისძიებებს; მუნიციპალური ენერჯის წარმოებისა და მომარაგების ხელშეწყობა განახლებადი ენერჯის წყაროების (RES) საშუალებით; ინოვაციური მდგრადი ენერჯის პროექტების შექმნა და მათი დაფინანსების ხელშეწყობა. აღნიშნულ პროექტს ანხორციელებენ საერთაშორისო ქალაქების პლატფორმა, Connective Cities და მისი ინიციატორები, Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ).

ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში მერიის წარმომადგენელთან ერთობლივი მუშაობით მოვახერხეთ პროექტის შემდეგ ეტაპზე გადასვლა, რაც უშუალოდ ითვალისწინებს საგრანტო განაცხადზე მუშაობას და განაცხადის წარდგენას დამფინანსებლისთვის.

შემდგომ ეტაპზე, მომზადდა საპროექტო წინადადება, რომელიც მიზნად ისახავს ერთ-ერთი საჯარო შენობის (საბავშვო ბაღის) „მწვანე შენობად“ გარდაქმნას, მზის ენერჯის გამოყენებით.

ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერი ასევე აქტიურად აზიარებდა ბიზნესით დაინტერესებული პირებისათვის გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებსა და პროგრამებს სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ფეისბუქ გვერდის საშუალებით.

ასევე, სააგენტო ეხმარებოდა USAID წარმომადგენლობას ინფორმაციის გავრცელებაში მიმდინარე საგრანტო კონკურსის შესახებ: „მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროფესიული პროგრამების შემუშავება/გაუმჯობესება და განხორციელება კერძო სექტორის მოთხოვნების შესაბამისად“ და „ პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა რეგიონებში და პროექტის სამიზნე ჯგუფებისთვის“. ბიზნესის ურთიერთობის ოფიცერი დაუკავშირდა შიდა ქართლში არსებული მსხვილი და საშუალო საწარმოების ხელმძღვანელობას და გააცნო პროექტის დეტალები. პროექტის ფარგლებში აღნიშნული ინფორმაცია მეილის საშუალებით გაეგზავნა 50-ზე მეტ მეწარმესა და საწარმოს, ხოლო 20-ამდე პირთან მოხდა პირადი გასაუბრება.

ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერი შეხვდა საჯარო სკოლის დირექტორებს და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის შესთავაზა სატრენინგო მოდული, ბიზნესით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის ბიზნესის უნარების ამაღლებასა და გამოცდილების გაზიარების კუთხით. ასევე, შეხვედრებისას სააგენტოს თანამშრომლებმა გააცნეს სხვადასხვა სახის სიახლეები სააგენტოს მიერ დაგეგმილ საქმიანობების შესახებ.

- მომზადდა და დაფინანსების მოპოვების მიზნით, საქართველოში იაპონიის საელჩოს საგრანტო პროგრამას, წარედგინა საპროექტო განაცხადი, რომელიც მიზნად ისახავს სპეციალური ტექნიკის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს მუშაობის ეფექტურობის გაძლიერებას.

- ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის ფარგლებში, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, 2019 წელს შექმნა სასოფლო-სამეურნეო ვებ-გვერდი [www.agrofarm.ge](http://www.agrofarm.ge). აღნიშნული ვებ-გვერდზე გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გლეხებსა და ფერმერებს შეუძლიათ, უფასოდ განათავსონ ინფორმაცია მათ მიერ წარმოებული პროდუქციის შესახებ და პოტენციურ მომხმარებლებს შესთავაზონ გასაყიდი საქონელი და მომსახურება. სამომავლოდ, ვებ-გვერდი იფუნქციონირებს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გლეხებსა და ფერმერებს საშუალებას მისცემს, სახლიდან გაუსვლელად გაზარდონ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია არამხოლოდ ადგილობრივ, არამედ უცხო ქვეყნების ბაზარზეც. ვებ-გვერდზე განცხადების განთავსება შესაძლებელია როგორც ფერმერებისთვის,

ასევე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, შხამ ქიმიკატებითა თუ სასუქით მოვაჭრე მეწარმეებისთვის, კოოპერატივებისა და აგრო ცენტრებისთვის.

2022 წლის იანვრიდან სააგენტოს თანამშრომლები აქტიურად აგრძელებდნენ საიტისთვის ინფორმაციების მოიძიებას, რეგულარულად ხდებოდა საიტზე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განთავსება. ასევე სასარგებლო ინფორმაციების განთავსება ფრემერების ხელშესაწყობად. საიტის პოპულარიზაციისთვის მისი გავრცელება ხდება როგორც სოციალურ ქსელ Facebook-ში საიტისთვისვე შექმნილ გვერდზე ისე სხვადასხვა გაყიდვების ჯგუფებში რამაც თავის მხრივ შედეგი გამოიღო და Top.ge-ს რეიტინგებში საიტი უფრო პოპულარული ხდება.

სააგენტოს თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები საიტის გამართულად ფუნქციონირებაში. რეგულარულად ეცნობიან ინფორმაციას საიტზე რეგისტრირებულ მომხმარებლებზე. შეძლებისდაგვარად სცემენ მათ მიერ დასმულ კითხვებს პასუხს და ეხმარებიან ფრემერებს განათავსონ მათი პროდუქცია ვებ გვერდზე.

2022 წლის იანვრიდან 2022 წლის 13 მაისის მდგომარეობით სასარგებლო ინფორმაციების განყოფილებაში განთავსებულია 36 სტატია სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან. რომელიც დაეხმარება ფრემერებს სხვადასხვა სფეროში საქმიანობისთვის და მისცემს მათ რჩევებს და რეკომენდაციებს.

- სააგენტომ შეიმუშავა საპროექტო განაცხადი სახელწოდებით: „დიახ, ახალგაზრდებს შეუძლიათ“ და იტალიურ პარტნიორ ორგანიზაცია Atelier Europeo-სთან ერთად წარადგინა ევროკომისიის ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამის საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის. კომისიამ დადებითად შეაფასა განაცხადი და დააფინანსა პროექტი. 2021 დასაწყისიდან სააგენტომ დაიწყო მზადება და რიგი საორგანიზაციო საკითხების მოგვარება 2 იტალიელი მოხალისის მისაღებად, რომელთაც სააგენტომ უმასპინძლა 11 თვის ვადით. მიმდინრე წლის 22 მაისს, მოხალისეები ჩამოვიდნენ საქართველოში და 11 თვის განმავლობაში 2022 წლის აპრილამდე მუშაობდნენ გორის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის კუთხით. მათი საქმიანობის მიზანი იყო გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კორონავირუსის Covid19-ის გავრცელების შედეგად ქვეყანაში არსებულმა რთულმა ეპიდ-ვითარებამ და აღნიშნულიდან გამომდინარე

დაწესებულმა შეზღუდვებმა/რეგულაციებმა, მნიშვნელოვანი შეფერხებები გამოიწვია პროექტის განხორციელების პროცესში, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა გარკვეული დაგეგმილი აქტივობების განხორციელება: პროექტის საწყის ეტაპზე, გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეკომენდაციით, შეირჩა გორის მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლა (ქ. გორი N 12 საჯარო სკოლა, სოფელ ვარიანის საჯარო სკოლა, სოფელ ზემო ნიქოზის საჯარო სკოლა), სადაც, სკოლის მოსწავლეების საჭიროებებისა და ინტერესების კვლევის მიზნით, მოხალისეებმა გამართეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრები. მსგავსი ტიპის შეხვედრა გაიმართა სოფელ მეჯვრისხევში მდებარე საჯარო ცენტრშიც. ასევე, შიდა ქართლის სამოქალაქო ფორუმის მოხალისეებთან თანამშრომლობით, გაიმართა შეხვედრა დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ ახალგაზრდებთანაც. შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის/უკუკავშირის საფუძველზე, მოხალისეებმა შეიმუშავეს შესაბამისი ტრენინგ-მოდულები სკოლის მოსწავლეებისთვის და 2021 წლის ოქტომბრის თვიდან 2022 წლის აპრილის თვემდე სააგენტოს იტალიელმა მოხალისემ, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, დაიწყო აღნიშნული ტრენინგების ჩატარება გორის მუნიციპალიტეტის ორ საჯარო სკოლაში: ქალაქ გორის მე-12 საჯარო სკოლასა და სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში. სატრენინგო მოდულები შემუშავებულ იქნა შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით:

- ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო „კომპასი“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით);
- ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო „კომპასიტო“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის);
- ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების განათლების შესახებ;
- იუნესკოს უწყებათაშორისი სამშვიდობო განათლების პროგრამა (სახელმძღვანელო ფასილიტატორებისთვის);
- SALTO-YOUTH - ის ქსელის ვებ-გვერდზე განთავსებული, სწავლების, ახალგაზრდული საქმიანობებისა და ტრენინგების სახელმძღვანელოები.

ასევე, პროექტის ფარგლებში, (ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო“ გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს (11 წლის ასაკიდან) სთავაზობდა ინგლისური ენის შემსწავლელ უფასო კურსს. კურსს უძღვებოდა სააგენტოს იტალიელი მოხალისე, ლაურა პისტარინი, რომელიც ფლობს კემბრიჯის სერთიფიკატს ინგლისური ენის უმაღლეს დონეში (Advanced English) და აქვს ინგლისური ენის სწავლების გამოცდილება იტალიის კოლეჯის სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის განმავლობაში გამოყენებულ იქნა ენის სწავლების არაფორმალური მეთოდები:

ინტერაქტიული აქტივობები, ბეჭდური მასალები, აუდიო-ვიზუალური მასალები და ასე შემდეგ...

პროექტის ფარგლებში, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან. მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ ინიციატივით და უნივერსიტეტის ორგანიზებით, ონლაინ რეჟიმში გაიმართა შეხვედრა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრისას ჩვენი სააგენტოს იტალიელმა მოხალისემ, ლაურა პისტარინიმ, სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე პროექტის შესახებ, ასევე ისაუბრა მოხალისეობრივი სამუშაოს, „ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC)“, ERASMUS+ და იმ სხვა შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც სხვადასხვა ევროპული პროგრამები სთავაზობს ახალგაზრდებს. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში.

გარდა ამისა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, სააგენტოს იტალიელი მოხალისის, ლინა მიკოლუჩის მიერ, უნივერსიტეტის შენობაში, კვირაში ორჯერ ტარდებოდა საბაზისო იტალიური ენის შემსწავლელი უფასო კურსი გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

- სააგენტოს მთავარმა სპეციალისტმა, ნინო გოლოშვილმა, რომელიც განსაზღვრულია მერის ბრძანების საფუძველზე სამოქალაქო ბიუჯეტის მთავარ კოორდინატორად გორის მუნიციპალიტეტში, არსებული გამოცდილების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან და საკრებულოსთან ურთიერთთანამშრომლობით შეიმუშავა სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების წესი. დადგენილება გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა 2022 წლის 11 მარტს. ნინო გოლოშვილმა ასევე შეიმუშავა სამოქალაქო ბიუჯეტის საინფორმაციო კამპანია გორის მუნიციპალიტეტში, რაც გულისხმობს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და გორის მუნიციპალიტეტში სოციალური პასუხისმგებლობის გაუმჯობესებას, ასევე მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. იგი უძღვებოდა სამოქალაქო ბიუჯეტის საინფორმაციო კამპანიას, გაიმართა შეხვედრები მოსახლეობასთან უშუალოდ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების ჩართულობით.

- გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერების კუთხით სააგენტო თანამშრომლობს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან ერთობლივი თანამშრომლობით გორის



მუნიციპალიტეტში შეირჩა 28 ახალგაზრდა, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს ახალგაზრდული კლუბის წევრებად, რომელთა მთავარი მიზანი იქნება სამოქალაქო ბიუჯეტის საინფორმაციო კამპანიაში მოხალისეობრივად ჩართვა და ინფორმაციის გავრცელება სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ გორის მუნიციპალიტეტში.

- საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის მიზნით ნინო გოლოშვილი მუშაობს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ფეისბუქ და ინსტაგრამ გვერდებზე, სადაც სააგენტოს განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაბამის აქტივობით დებს ინფორმაციას, ბევრ საინტერესო სიახლეს და საგრანტო კონკურსებს მოქალაქეებისათვის და არასამთავრობო სექტორისათვის, აქტიურად არის ჩართული მის პოპულარიზაციაში. ამ მიზნით მისის თვეში ის იმყოფებოდა ტრენინგზე „საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარების გაუმჯობესება ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით“, რომელიც ჩატარდა „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის“ პროექტის ფარგლებში, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით.

- 2022 წელს სააგენტოში დაიწყო თურქული ენის შემსწავლელი უფასო კურსი. კურსი მოიცავს თანამედროვე სალიტერატურო და სასაუბრო თურქული ენის საწყისი დონის (A1/1) ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საბაზისო საკითხებს. კურსის მსვლელობისას გათვალისწინებულია კითხვის, წერის, მოსმენისა და ზეპირმეტყველების ელემენტარული უნარ-ჩვევების გამომუშავება, ნაცნობი ყოველდღიური ხმარების გამონათქვამების გამოყენება, მარტივი წინადადებების აგების უნარის შექმნა და დიალოგში შესვლა მარტივ სასაუბრო თემებზე.

- 2022 წლის იანვრიდან სააგენტო აწარმოებს კალენდარს მიმდინარე გრანტების შესახებ, რომელიც გაუმარტივებს ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას გრანტების მოძიებას, ასევე შეიქმნა დონორთა ბაზა და დღესაც აქტიურად აწარმოებენ სააგენტოს თანამშრომლები მოლაპარაკებებს უცხოურ ფონდებთან სხვადასხვა პროექტების განხორციელებისთვის და დაფინანსებისთვის.

- 2022 წელს მუდმივად ხორციელდებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული იმ წერილების აღრიცხვა, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისთვის შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო ნახაზების მომზადება, საველე აზომვითი ნახაზების მომზადება, შენობა ნაგებობების შიდა და გარე

აზომვითი სამუშაოების შესრულება და შესაბამისი ნახაზების მომზადება და სხვა. გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული წერილობითი დავალებების შესრულება, შესაბამისი ფორმით, ევალბოდა სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების კონკრეტულ თანამშრომელს/თანამშრომლებს. ასევე ხორციელდებოდა შესრულებული სამუშაოს შესახებ საპასუხო წერილის მომზადება და აღნუსხვა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან წერილობით მიღებული დავალებების საფუძველზე, სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლების მიერ ხორციელდებოდა გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების, გზის ფენების და შიდა საუბნო გზების, სკვერების და მოედნების, ჭაბურღილების და ა.შ. საკადასტრო ნახაზების მომზადება, საველე აზომვითი ნახაზების მომზადება, შენობა ნაგებობების შიდა და გარე აზომვითი სამუშაოების შესრულება და შესაბამისი ნახაზების, ტექნიკური პასპორტების მომზადება, მიწის ნაკვეთების დაკოლვის სამუშაოების ჩატარება ხაზობრივი ნაგებობების წერტილოვანი საკადასტრო ნახაზების მომზადება, სიტუაციური ნახაზების და თემატური გეოინფორმაციული რუკების მომზადება

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 16 მაისამდე დახაზულია და აზომილია 710 268, 55 კვ.მ

სიტუაციური ნახაზი - 5 ცალი

დაკვალულია - 30 წერტილი

შიდა აზომვითი ნახაზები -504,22 კვ.მ

გაჩერების წერტილი კოორდინატებით - 78

დაგეგმარებულია - 51 სოფელი